ულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტმა იონათანმა პატრიარქ ბართლომეოსის სიტყვებს, რომელმაც დაგმო უკრაინელი იერარქების აღმსარებლობითი ღვაწლი, მკრეხელობა უწოდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.11.2023. სასულიერო და საერო პირებისგან შემდგარი უფლებადამცველი ჯგუფის თხოვნით, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტმა იონათანმა შეაფასა პატრიარქ ბართლომეოსის განცხადება, რომელიც მან 2023 წლის 15 ოქტომბერს მადრიდში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ესპანეთისა და პორტუგალიის მიტროპოლიის სასულიერო პირებთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. კერძოდ მან **განაცხადა,** რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების სისხლის სამართლებრივ დევნას სამართლიანად და დასაბუთებულად მიიჩნევს.

მიტროპოლიტ იონათანის შეფასება ტილჩინის ეპარქიამ თავის ვებგვერდზე **გამოაქვეყნა.**

დაგმობის სიტყვები უკრაინელი იერარქების აღმსარებლობით ღვაწლთან მიმართებით, რომლებიც მართლმადიდებლობასა და კანონიკურ ეკლესიას იცავენ, აშკარად ცილისმწამებლური და ცოდვილი გამონათქვამია, და მკრეხელურიც კი, – დარწმუნებულია მიტროპოლიტი იონათანი. 2023 წლის 7 აგვისტოს 75 წლის მძიმედ დაავადებულ მღვდელთმთავარს, მართლმადიდებლურ სამყაროში ფართოდ ცნობილ საეკლესიო კომპოზიტორს, აბსურდული ბრალდებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა **მიესაჯა** ქონების კონფისკაციით.

მეუფემ აღნიშნა: „მადრიდში პატრიარქ ბართლომეოსის უცნაური და არაგონივრული სიტყვები ბლაგვ და დაჟანგულ ხმალს ჰგავს, რომელმაც უმოწყალო და სასტიკი ჭრილობა მიაყენა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნილი იერარქების, მისი სამღვდელოებისა და ერისკაცების სულებს როგორც უკრაინაში, ისე შორეულ ქვეყნებში. მან კონსტანტინოპოლის პირველიერარქის ხალენი სულიერ-სიმბოლურად ორად განაპო, რომელსაც ახლა, შეუფერებლობის გამო მოაკლდა რწმენისა და ჭეშმარიტების დამცველის, წმინდა წინასწარმეტყველ ელიას ხალენის მადლმოსილი ძალები, და სიცრუით შებილწული, ზეცას შეჰღაღადებს თავისი ყოფილი ამაყი ბატონის ცოდვილ მიწაზე დაცემის ამბავს“.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ბევრმა მღვდელთმთავარმა, სასულიერო პირმა და ერისკაცმა საბოლოოდ დაკარგა ნდობა კონსტანტინოპოლის პატრიარქის მსჯელობის ობიექტურობისადმი „ფანარის მეთაურის იმ საშინელი სიტყვების შემდეგ, რომლებითაც ის მადრიდში გამოვიდა თავისი კლირიკოსების წინაშე იმ ფონზე, როდესაც უკრაინაში გაჩაღებულია ტაძრებისა და მონასტრების დარბევები და მიტაცებები; იმ ფონზე, როდესაც კიევ-პეჩერის ლავრიდან გამოაძევეს სასულიერო სემინარია და სასულიერო აკადემია; იმ ფონზე, როდესაც უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების მიმართ გრძელდება ჩხრეკები, დაპატიმრებები, სასამართლოები; იმ ფონზე, როდესაც მწუხარებს და ტირის უმე-ს ერთგული მორწმუნენი“ – დარწმუნებულია მიტროპოლიტი იონათანი. „ნუთუ მისთვის სასიამოვნო იქნება ღვთის მიმართ ლოცვა ლავრის ცარიელ ტაძრებში?!“ – რიტორიკულ კითხვას სვამს იგი.

„მე, უბადრუკი და უღირსი, რომელიც ადრე უკანონოდ ვიყავი გასამართლებული ვინიცელი მოსამართლის მიერ და რომელმაც თავის დროზე ახალი რომის პირველიერარქის ხელიდან მივიღე დამსახურებული საეკლესიო ორდენი, ახლა გავკადნიერდები და ვეტყვი მას: თქვენ სცდებით! გონს მოეგეთ და გადადით ცოდვილთა გზიდან, განიბანეთ თვალები სინანულისა და ღვთის მშვიდობის წყლით! და მაშინ განიწმინდებით სინდისის პატიმრების წინააღმდეგ ცრუმოწმობის ცოდვისა და საუკუნოვანი სირცხვილისგან!” – აღნიშნა ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტმა იონათანმა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90951/